საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამ. №1/43
ტელ.: +995 322 382 995, ფაქსი: +995 322 388 197
ელ. ფოსტა: info@gtuc.ge
www.gtuc.ge

GEORGIAN TRADE UNIONS CONFEDERATION

1/43, Vazha-Pshavela Ave., Tbilisi, Georgia, 0186
Tel.: + 995 322 382 995, Fax: +995 322 388 197
E-mail: info@gtuc.ge
www.gtuc.ge

№ 78/01-1 „11" 08 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი ა/წ-ის წერილის (3.08.20, №01/8994) პასუხად გიგზავნით ჩვენ შენიშვნას/წინადადებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტთან "18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე" დაკავშირებით.

როგორც თქვენთვის არის ცნობილი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის დადგენილებაში (№381) „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ", არის სამუშაოების და არა კონკრეტული პროფესიების ჩამონათვალი მაგ: საავტომობილო გზებისა და რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები; ალუმინის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოები და სხვა, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ იმ სამუშაო ადგილებს, რომლებიც განეკუთვნებიან მძიმეს, მავნეს და საშიშპირობებიანს, ასევე იმ სამუშაო ადგილებს, რომლებიც არ მიიჩნევა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველად. შესაბამისად აღნიშნული ბრძანების ამ ფორმით ძალაში შესვლა 18 წლამდე ასაკის პირებს შეუზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას ამ ბრძანებაში მოხსენიებული სამუშაოების იმ პოზიციებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან მძიმეს, მავნეს და საშიშპირობებიანს.

მიგვაჩნია, რომ ამ ბრძანების პროექტში აღნიშნული სამუშაოების ჩამონათვალთან ერთად მაგ: ახალგაზრდა თამაშებთან დაკავშირებული სამუშაოები; ეროტიკული და პორნოგრაფიული საგნების წარმოებასთან, გაყიდვასა და დემონსტრირებასთან დაკავშირებული სამუშაოები; ნარკოტიკული ნივთიერებების და მათი შემცველი მცენარეების გადამუშავება-შენახვასთან დაკავშირებული სამუშაოები და სხვა, რაც საზიანოა არასრულწლოვნისათვის ასეთ სამუშაოებზე დასაქმება, ასევე უნდა იყოს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი პროფესიების ჩამონათვალი, რომლებზეც შეეზღუდებათ დასაქმება 18 წლამდე ასაკის პირებს.

პატივისცემით,

ირაკლი პეტრიაშვილი

[illegible]ების თავმჯდომარე